ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5277227

ნომერი: AR1800827

თარიღი : 29.01.2021

გაცემის თარიღი : 04.02.2021

გაცნობის თარიღი : 08.02.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მარსელის ქუჩა, N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ სანდუხაძე პ/ნ 01004005606
- ლიბანის 7, ბინა 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 29 იანვარს №AR1800827 განცხადებით მომართა ნოდარ სანდუხაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 16 ივლისის №5022056 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 16 ივლისის №5022056 ბრძანებით შეთანხმდა №01.11.05.029.300 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალფუნქციური კომპლექსის (სექტორი 3, საცხოვრებელი ბლოკი "დ", ბლოკი "ე") კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 16 ივლისიდან 2021 წლის 16 იანვრის ჩათვლით. სამსახურის 2020 წლის 11 აგვისტოს №5061406 ბრძანებით ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა: კომერციული ფართობი: 1464.6 კვ.მ., დამხმარე ფართობი: 402.3 კვ.მ. ამასთან, სამსახურის 2020 წლის 16 ივლისის №5022056 ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდა 2020 წლის 03 აგვისტოს №AR1765624 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმით.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 16 ივლისის №5022056 ბრძანებით შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციით სექტორი 3-ში, "დ" და "ე" ბლოკებისთვის განკუთვნილია ღია ავტოსადგომები, რომლის ფართობი ბრძანებაში არ არის დაფიქსირებული. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ღია ავტოსადგომების სამსახურის 2020 წლის 16 ივლისის №5022056 ბრძანებაში დაფიქსირებას და ასევე, წარმოდგენილი ღია ავტოსადგომების სქემის დამატებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს. წარმოდგენილი და საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ავტოსადგომების სქემაზე შეთანხმებულთან მიმართებით განხორციელებულია ისეთი ცვლილებები, რომელიც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის ცვლილებას (კორექტირება). აღნიშნულის თაობაზე ასევე განგემარტათ 2020 წლის 29 დეკემბრის №5243375 გადაწყვეტილებით.

აქვე განგიმარტავთ, რომ იმ შემთხვევაში თუ გსურთ სამსახურის 2020 წლის 16 ივლისის №5022056 ბრძანებით შეთანხმებული ავტოსადგომების სქემისგან განსხვავებული სქემის შეთანხმება, საჭიროა, მოითხოვნა დააყენოთ არქიტექტურული პროექტის ცვლილებაზე (არქიტექტურული პროექტის კორექტირებაზე).

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.